საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

სამუშაო შეხვედრა

შეხვედრის ოქმი №4

ქ. თბილისი **16.12.2024**

2024 წლის 16 დეკემბერს, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) განახლებული საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები (იხ. დანართი 1).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გახსნა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ლაშა მარგიშვილმა. მან საბჭოს წევრებს მიულოცა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებად არჩევა და აღნიშნა, რომ საბჭო არის, როგორც ცენტრისთვის, ასევე განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის სისტემისთვის მნიშვნელოვანი ორგანო, რომელთანაც ცენტრს ექნება აქტიური თანამშრომლობა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა სიტყვა გადასცა დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულებელს - ქეთევან კობახიძეს და ცენტრის თანამშრომლებს და საკოორდინაციო საბჭოს წევრებს. ამასთან, სხდომის თითოეულმა წევრმა წარადგინა საკუთარი თავი.

მისალმების შემდგომ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა თავმჯდომარის თანამდებობაზე დააყენეს ირმა გრძელიძის კანდიდატურა, ხოლო მდივნის კანდიდატურაზე, სტუდენტი წევრის თათია უბერის კანდიდატურა. წარდგენილი კანდიდატების თანხმობის შემდგომ საკოორდინაციო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი 4 წლის ვადით საკოორდინაციო საბჭოს თავმჯომარისა და მდივნის კანდიდატურების არჩევას.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო ENQA-ში გაწევრიანებისა და EQAR-ში რეგისტრაციის განახლების საკითხი. მოკლედ გააცნო პროცედურები. აღნიშნა, რომ ცენტრმა ENQA-ს სრული წევრის სტატუსი მოიპოვა 2019 წელს და ცენტრი იმავე წელს დარეგისტრირდა EQAR-ში. ცენტრი განმეორებით შეფასდა 2023 წელს და ოქტომბრის თვეში განხორციელდა ENQA-ს ექსპერტების ვიზიტი ცენტრში. შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG-2015) 11 სტანდარტის შეფასებაში ცენტრს აქვს სრული შესაბამისობა და 3.3 და 2.5 სტანდარტებში აქვს ნაწილობრივი შესაბამისობა. 3.3 სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობით შეფასების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ გარკვეული პერიოდი ცენტრის დირექტორი იკავებდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის პოზიციას. აღნიშნულთან დაკავშირებით ENQA-მ გასცა რეკომენდაცია,

რომლის შესაბამისად მიმდინარე წლის იანვარში ცენტრის დირექტორი გადადგა თანამდებობიდან. ENQA-ს შეფასების კომიტეტმა (ARC) ექსპერტთა შეფასების ანგარიშის ვალიდაციისას 3.3 სტანდარტში ცენტრი შეუსაბამოდ მიიჩნია. შედეგების მიღების შემდგომ ცენტრმა 2024 წლის ივლისის თვეში დააინიცირა ცვლილებები კანონში, რის მიხედვითაც ცენტრის დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა პოზიციაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, დირექტორის არჩევა და განთავისუფლება უნდა მოხდეს საკოორდინაციო საბჭოს ჩართულობით. აღნიშნული ცვლილებების თაობაზე ეცნობა ENQA-ს და EQAR-ს. მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს ცენტრის მიმართ EQAR-ში გაიგზავნა ანონიმური საჩივარი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ცენტრის დამოუკიდებლობის საკითხი არ იყო შესაბამისობაში სტანდარტებთან. მიმდინარე წლის დეკემბერში ცენტრმა მიიღო საბოლოო დასკვნა EQAR-ისგან, სადაც განმარტებული იყო, რომ 3.3 სტანდარტი არ იყო შესაბამისი, ხოლო 2.5 სტანდარტი იყო ნაწილობრივ შესაბამისი.

მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრი 3.3. სტანდარტის შეფასებას არ ეთანხმება, რადგან დამოუკიდებლობის ნაწილი მოიცავს - ორგანიზაციულ, ოპერაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას. ოპერაციული და ფინანსური დამოუკიდებლობის ნაწილში ცენტრმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, გაიზარდა საკოორდინაციო საბჭოს როლი და ფუნქციები. ბოლო წლებში გაზრდილია ცენტრის ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხი და მომავალში იგეგმება, რომ ცენტრი სრულად იყოს ფინანსურად დამოუკიდებელი. აღნიშნული მიღწევა აღნიშნულია ENQA-ს ექსპერტთა დაკვნაშიც.

ლაშა მარგიშვილის თქმით, ცენტრი EQAR-ის გადაწყვეტილების ნაწილში განიხილავს გასაჩივრების ან/და ფოკუსირებული შეფასების მოთხოვნას. ფოკუსირებული შეფასების მიხედვით 3.3 და 2.5 სტანდარტებში შეფასდება ცენტრი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ENQA-მ გაიზიარა EQAR-ის შეფასება, სააგენტოს ეძლევა 2 წლიანი ვადა პროგრესის საჩვენებლად.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ENQA-ს შეფასებების და EQAR-ის წერილი საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გაუზიარდებათ შეხვედრის დასრულებისთანავე იმაილის საშუალებით.

კითხვა-პასუხის ფორმატში, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ირმა გრძელიძემ ხაზი გაუშვა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობას და ცენტრის მიერ გაწეულ შრომას და აღნიშნა, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში უნდა გადაიდგას გონივრული და თანმიმდევრული ნაბიჯები, რათა პროცესი იყოს როგორ პროცესუალურად, ასევე სამართლებრივად და დოკუმენტურად გამართული.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ნათია გაბიტაშვილმა ცენტრს შესთავაზა ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავება, რაც ცენტრს მისცემდა პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას.

ლაშა მარგიშვილი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას და აღნიშნა, რომ შეიქმნება ENQA-ს და EQAR-ის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივაძემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო საბჭოს ძირითადი ფუნქციები და საკოორდინაციო საბჭოზე განსახილველი საკითხები, რომელიც, მათ შორის, განსაზღვრულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესში და არის დამტკიცებული ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

ლაშა ზივზივაძემ ასევე, საკოორდინაციო საბჭოს დეტალურად წარუდგინა ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო და პროცესში ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული და დირექტორს დაქვემდებარებული პირი იყო ჩართული. ჩატარდა საჯარო განხილვები თითოეული მიმართულებით და მიღებული უკუკავშირები შეძლებისდაგვარად აისახა სამოქმედო გეგმის პროექტში. ათი დღის განმავლობაში სამოქმედო გეგმის პროექტი განთავსებული იყო ცენტრის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა უკუკავშირის მიწოდების. ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის სამოქმედო გეგმის აქტივობები ეფუძნება, საერთაშორისო ვალდებულებებს, სტრატეგიის შუალედურ შეფასებას, ENQA-ს რეკომენდაციებს, სხვადასხვა კვლევებიდან ამოსულ გამოწვევებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

კითხვა-პასუხის ფორმატში, ირმა გრძელიძე შეეხო პრეზენტაციით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხს, საფასურების გადახედვას. მან ხაზი გაუსვა უმაღლესი დაწესებულებებისთვის სერვისების საფასურების მნიშვნელობასა და სირთულეს, შესაბამისად ყურადღება გაამახვილა დაწესებულებებთან აღნიშნულ საკითხის განხილვის აუცილებლობაზე. საბჭოს თავმჯდომარის მეორე კითხვა ეხებოდა, ცენტრის ინსტიტუციურ განვითარებასა და რეორგანიზაციას. ის დაინტერესდა, თუ რა ეტაპზეა რეორგანიზაციის პროცესი და რა იგეგმება ცენტრში კადრების დამატების მიმართულებით.

ლაშა ზივზივაძემ პირველი კომენტარის პასუხად აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის არ ყოფილა საფასურებთან დაკავშირებით კომუნიკაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა აღნიშნული კომუნიკაციის გარეშე საფასურების შეცვლა არ განხორციელდება. მიმდინარე წელს განხორციელდა ცენტრის სტრატეგიის შუალედური შეფასება საერთაშორისო ექსპერტების მიერ და მათი რეკომენდაციით პერიოდულად უნდა მოხდეს სერვისების საფასურების გადახედვა. ასევე, მნიშვენლოვანია, რომ ცენტრმა შეინარჩუნოს ფინანსური მდგრადობა და დამოუკიდებლობა და ნაკლებად იყოს დამოკიდებული ბიუჯეტის ფინანსურ რესურსებზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ცენტრის მიწოდებული სერვისების საფასურის პერიოდული გადახედვა. ასევე, აღნიშნა, რომ ცენტრის ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა კი ESG 3.3 - დამოუკიდებლობის სტანდარტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მეორე კითხვის პასუხად, ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის პროცესი გადადებულია 2025 წლის თებერვლამდე და ცენტრი ელოდება დირექტორის დანიშვნას, რომელიც აუცილებლად იქნება საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებული და ის დაინიშნება 5 წლის ვადით. დამატებით, განმარტა, რომ ცენტრი საკადრო პოლიტიკის მდგრადობისთვის გეგმას შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას და 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიანი განვითარების კონცეფციის შემუშავება.

ნათია გაბიტაშვილს ჰქონდა სამოქმედო გეგმის თაობაზე ტექნიკური ხასიათის კომენტარები. მან ასევე ცენტრს შესთავაზა სამოქმედო გეგმისთვის შესაბამისი ველის დამატება, სადაც ჩაიწერება თუ რომელ საერთაშორისო რეკომენდაციას შეესაბამება აქტივობები. ნათია გაბიტაშვილმა ასევე წამოაყენა წინანდება უცხოური სამედიცინო განათლებისა და აკრედიტაციის ეროვნული კომიტეტთან (ამერიკის შეერთებული შტატების) თანამშრომლობის შესაძლებლობების თაობაზე ინფორმაციის მოძიების.და იკითხა შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების თაობაზე.მან

რეკომენდაციის სახით, ცენტრს შესთავაზა არსებულ სტრატეგიებთან, მათ შორის პროფესიულ განათლების სტრატეგიასთან, ცენტრის სამოქმედო გეგმაში ბმების გაკეთება.

ლაშა ზივზივაძემ განმარტა, რომ სამოქმედო გეგმას აქვს შენიშვნის ველი, სადაც ხდება შესაბამისი საერთაშორისო თუ ადგილობრივი რეკომენდაციებისა და ვალდებულებების ასახვა, რაც გამომდინარეობს ცენტრში არსებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწვეყტილების მიღების მიდგომიდან.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსმა, ქეთევან ფანჩულიძემ, ისაუბრა დარგობრივ მახასიათებლების შემუშავებაზე და აღნიშნა, რომ ცენტრმა 2024 წელს შეიმუშავა 16 დარგობრივი მახასიათებელი და დაემატა ერთი რეგულირებადი პროფესია. ასევე, მისი თქმით, განხორციელდა მასწავლებლის მომზადების პროგრამაში ადამიანის უფლებების სწავლების ინტეგრირება.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამოქმედო გეგმის პროექტი და საბჭოს წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ქეთევან ფანჩულიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის ანგარიში. მან დეტალურად ისაუბრა მონიტორინგის ეტაპებზე და განხორციელების გეგმაზე. მისი თქმით, მონიტორინგის დოკუმენტი გაიგზავნა დაინტერესებულ მხარეებთან და მოხდა მათი რეკომენდაციებისა და უკუკავშირის გათვალისწინება და ასახვა ანგარიშში.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე 11

მოწინააღმდეგე 0

შეხვედრის ბოლოს, ლაშა ზივზივაძემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ცენტრი მომდევნო წელს იწყებს მუშაობას 2026-2030 წლების სტარტეგიაზე და ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, ცენტრის მიმდინარე სტრატეგიის ვადის გასვლამდე 12 თვით ადრე ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მიზანშეწონილია ჩართული იყოს საკოორდინაციო საბჭოს წევრი. მან საბჭოს წევრებს სთხოვა სამუშაო ჯგუფისთვის კანდიდატურის წარდგენა. შეხვედრის მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობისათვის წარადგინეს საბჭოს თავმჯდომარის, ირმა გრძელიძის კანდიდატურა და ხმა მისცეს აღნიშნულ კანდიდატურას.

მომხრე 10

მოწინააღმდეგე 0

ლაშა ზივზივაძემ მოკლედ შეაჯამა სხდომა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და წინადადებებს ცენტრი მხედველობაში აუცილებლად მიიღებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს. ასევე, მან აღნიშნა, რომ 2025 წლის I-II კვარტალში იგეგმება საკოორდინაციო საბჭოს შესაძლებლობის გაძლიერების გასვლითი ღონისძიება, რომლის თაობაზე საბჭოს წევრებს აუცილებლად ეცნობებათ წინასწარ.

ლაშა ზივზივაძემ კიდევ ერთხელ მიულოცა საბჭოს წევრებს საკოორდინაციო საბჭოს წევრებად არჩევა და წარმატებები უსურვა.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

ირმა გრძელიძე

საკოორდინაციო საბჭოს მდივანი:

თათია უბერი

დანართი 1:

სახელი, გვარი	პოზიცია	საკოორდინაციო საბჭო
ირმა გრძელიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის ხელმძღვანელი;	საბჭოს თავმჯდომარე
თათია უბერი	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი;	საბჭოს მდივანი
დიანა ფრეიბერგერი	ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) აღმასრულებელი დირექტორი;	საბჭოს წევრი
დევიდ გორდონი	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი;	საბჭოს წევრი
ნათია გაბიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;	საბჭოს წევრი
თამთა გრიგოლია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების" პროგრამის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში" ქვეპროგრამის მენეჯერი;	საბჭოს წევრი
ლევან კერესელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;	საბჭოს წევრი
მაია ახვლედიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;	საბჭოს წევრი

მაია რუხაძე	სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;	საბჭოს წევრი
სოფიო ლონდარიძე	ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ადმინისტრაციული გუნდის ლიდერი;	საბჭოს წევრი
ლიანა კოლხიტაშვილი	შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი.	საბჭოს წევრი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ონლაინ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordination Council of the LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

შეხვედრის ბმული / Meeting link:

https://us02web.zoom.us/j/81806799520?pwd=dwlueJtqQMhMvDLq9bdUhvaYbzOUn9.1

Meeting ID: 818 0679 9520
Passcode: 905175

15:00-17:00 საათი, 16 დეკემბერი, 2024 წელი
15:00-17:00, December 16, 2024
დღის წესრიგი / Agenda

დრო/Time	განსახილველი საკითხი / Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization
15:00 - 15:25	მისალმება Introduction	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili ქეთევან კობახიძე Ketevan Kobakhidze საკოორდინაციო საბჭოს წევრები Members of the Coordination Council	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Deputy Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

15:25 – 15:30	საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის განსაზღვრა Selection of the Head and Secretary for the Coordination Council	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
15:30 – 15:45	ENQA-ში გაწევრიანებისა და EQAR-ში რეგისტრაციის განახლებაზე მსჯელობა Discussion on renewal of ENQA membership and EQAR registration	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
15:45 - 15:55	საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ფუნქციების წარდგენა Introduction of the main functions of the Coordination Council	ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
15:55 - 16:25	2021-2025 წლების სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა - ძირითადი აქტივობები Introduction of the 2025 Action Plan Project for 2021-2025 Strategy - Key Activities	ლაშა ზივზივაძე Lasha Zivzivadze	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
16:25 - 16:30	კითხვა-პასუხი / Questions and Answers		

16:30 – 16:45	სწავლის სფეროების კლასიფიკატორის და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა Introduction of Monitoring Report on the National Qualifications Framework and Learning Fields Classifier	ქეთევან ფანჩულიძე Ketevan Panchulidze	კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Head of Qualifications Development Department, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
16:45 – 16:50	კითხვა-პასუხი / Questions and Answers		
16:50 – 17:00	სამუშაო შეხვედრის შეჯამება Wrap Up	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement